

თეატრი კანკაჩაშვილი

კოდას ისტორია



გამომცემლობა „ანილსალი“

თბილისი 2009

UDC (უაკ) 94(479.22-22)

გ-405

ეს წიგნი მოიცავს კოჯირის სრულ ისტორიას. ეს არის ნაშრომი, რომელშიც მოყვანილია ამ დაბის ისტორია – შუა საუკუნეებიდან უახლეს ისტორიამდე. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია როგორც კოჯირის ისტორია, ისე ტოპონიმიკური და კლიმატურ-პროფილაქტიკური თავისებურებები. ნაშრომი განკუთვნილია ყველა სახის მკითხველთათვის, ადამიანთათვის, რომლებიც დაინტერესებულები არიან თბილისის შემოგარენის ისტორიით.

**მთავარი რედაქტორი:** ისტორიის დოქტორი  
**ანდრო გოგოლაძე**

**რედაქტორი:** ლეილა ცოხაია  
ლიზი გოგოლაძე


© თ. ქენკებაშვილი, 2009

გამომცემლობა „ანივარსალი“, 2009

თბილისი, 0179, გამამაძის გამზ. 19, ტ: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-810-3

սերգ ատպընդ. սպահչա?



თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მიდის მიხვეულ-მოხვეული და აღმართებიანი მოასფალტებული საავტომობილო გზა, რომელიც, გასცილდება რა თბილისის საგარეუბნო სააგარაკო ადგილებს – ოქროყანას, შინდისს, ტაბახმელას და სხვ., სულ 30 წელის მგზავრობის შემდეგ, მიგვიყვანს მთის კლიმატურ კურორტ კოჯორში (1300-1400 მეტრი ზღვის დონიდან).

აღნიშნული გზატკეცილით მანძილი თბილისიდან კოჯრამდე შეადგენს 18 კილომეტრს, საცალფეხო ბილიკით კი, მანძილი 7 კილომეტრია.<sup>1</sup>

საქართველოს ერთ-ერთ შესანიშნავ საკურორტო ადგილს – კოჯორს – მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი მოვლენებით აღსავსე ისტორია აქვს. იგი ადმინისტრაციულად დიდგორის რაიონში შედის. კოჯორს, ადრე, „კოშორი“ ერქვა. სახელწოდება „კოშორი“ რუსული ტრანსკრიპციით დამკვიდრდა ჩვენში 1800 წლიდან. ტოპონიმი „კოშორი“ თავისი წარმოშობით უკავშირდება კოშოს, რაც კლდის თხემს ნიშნავს.

კოშორის ციხე ვულკანური წარმოშობის კლდის თხემზეა დაშენებული, სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც. სახელწოდება „კოჯორი“ შეიძლება უკავშირდებოდეს სიტყვას „ქოჩორი“, რადგან ძველი კოჯრის პლატო დაფარული იყო ტყეებით და მოგაგონებდათ ქო-

<sup>1</sup> მ. ნოდია. საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები. თბ. 1976. გვ. 39.

ჩორს. მესამე ვარიანტით კი, „კოჯორის“ ამოსავალი უნდა ვეძებოთ სიტყვაში „კოუორა“ (დაკოურებული), რაც ახასიათებს ადგილის რელიეფს.

არსებობს მეოთხე, ყველასგან განსხვავებული ვარიანტიც. სახელწოდება კოჯორი, ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, გვესახება ორფუძიან კომპროზიტად. პირველი ფუძეა სიტყვა— კო, მეორე ფუძეა— ჯორი. კო სახელნაცვალი ფორმა უნდა იყოს სიტყვისა რკო, რაც ძველ ქართულში მუხას აღნიშნავდა. ჯორი სახელნაცვალი ფორმა უნდა იყოს სიტყვისა ჯვარი. ამ სახის ცვლილებაც ქართული ენის ნორმებით გამართლებულია. ამრიგად, სიტყვა კოჯორი, როგორც კომპროზიტი, მნიშვნელობით იგივეა, რაც მუხაჯვარი.

კოჯორი ანუ მუხაჯვარი თავდაპირველად სალოცავი ობიექტისა და ადგილის სახელი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ კი სახელწოდება კოჯორი, უნდა შერქმეოდა დასახლებულ პუნქტს, დაბას.

კოჯორის, როგორც სალოცავი ობიექტისა და ადგილის ლოკალიზაციას ვახდენთ დღევანდელი უძოს ფარგლებში. ყოფის მონაცემებით აშკარა ხდება უძოს, როგორც სალოცავი ადგილის წინაქრისტიანული ხასიათი. უძოს მთაზე მუხნარი ყოფილა, რისი ნაშთები დღესაც შემორჩენილია. უძოზე არის წ.მ. გიორგის სახელობის სალოცავი. წ.მ. გიორგის კავშირი მუხასთან საქართველოს სინამდვილეში დადგენილ ფაქტად ითვლება.<sup>1</sup>

<sup>1</sup> მ. გეგეშიძე. კოჯორი. ნ. ბერძნიშვილისადმი მიძღვნილი კრებული. კავკასიის ხალხათა ისტორიის საკითხები. თბ. 1976. გვ. 40.

„კოუნრი“, „კოურის ციხე“, „კოურის გზა“ მრავალ ადრინდელ ქართულ ისტორიულ წყაროშია მოხსენიებული.<sup>1</sup>

კოჯორის პლატოდან თვალწინ იშლება წარმტაცი სანახაობა: ლისისა და კუს ტბები, ბეთანია და წყნეთი, საგურამოს მთები, ნახშირგორა, ჭაღარა კავკასიონი, თავისი მუდამ თოვლიანი მწვერვალებით.

კოჯორის დასავლეთ მხარეს, მისგან ორი კმ-ის მანძილზე, აღმართულია ძველი ციხე. ამ ციხიდან იშლება საუცხოო სანახაობა: თბილისი და მისი მიდამოები, აზერბაიჯანის მთები, მანგლისის მიდამოები და კუმისის ტბა.

კოჯორის ციხეს მე-15 საუკუნემდე აგარათა ციხე ერქვა. როგორც ცნობილია, ტაბახმელას, წავკისს, შინდისს და კოჯორს ძველად აგარაები ერქვა. ამ აგარაებზე მნიშვნელოვანი საქარავნო გზა გადიოდა. გასაყარში შენდებოდა ციხე-სიმაგრე, რომელსაც აგარათა ციხე-სიმაგრე ეწოდებოდა.<sup>2</sup> კოჯორის ციხე დაშენებულია ვულკანური წარმოშობის მაღალი მთის წვერზე, რაც მას წარსულში მიუდგომელს ხდიდა. ქართული ეპოსის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშში – „ეთერიანი“ – კოჯორის ციხის მიუვალობა ხატოვნად არის გადმოცემული:

<sup>1</sup> მ. ჯანგიძე. კოჯორი. გაზ. „სამგორი“. თბ. 1960. გვ. 2.

<sup>2</sup> მ. ჯანგიძე. კოჯორი. გაზ. „თბილისი“. 1960. 16. აგვისტო. გვ:2.

## „კოჯრის თავსა მოვლა უნდა მოსარბენსა ორბისასა“

ამ ციხეს ბევრჯერ განუცდია რესტავრაცია, მას სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან მრგვალი ფორმის კოშკები ჰქონდა, რომლის კედლებმა დღემდე ნანგრევების სახით მოაღწია. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმართული კოშკის კედლები თლილი ქვითა და დიდი ზომის კვადრატული ფორმის აგურითაა ნაგები. მეორე კოშკი, რომელიც ქვითაა ნაგები, უფრო ადრინდელი უნდა იყოს.

სპეციალისტების აზრით, კოჯრის ციხე XI ს.-ის ნაგებობათა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს.

ამ ციხე-სიმაგრეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალური საქართველოსათვის. იგი კვეთდა სომხით- საბრათიანოდან თბილისში მიმავალ ერთადერთ გზას. ამიტომაც იყო, რომ მას ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ ქართველი სახელმწიფო მესვეურები.



კოჯორის ციხე

კოჯირის ციხის ისტორიული წარსული ძირითად ხაზებში ასე წარმოგვიდგება: აგარათა ციხე XI ს.-ის 60-იან წლებში ბაგრატ მეფემ განძის პატრონს ამირა ფადლონს წაართვა. „შუამდგომლობითა და სიტყვათა სულტანისათა დაეზავა ბაგრატ და განუტევა ფადლონ და გაგზავნა საბელმწიფოსა თვისსა“. ცოტა ხნის შემდეგ განძის ამირა ფადლონმა ეს ციხე ისევ ხელთ იგდო, „გატეხნა ფიცნი და შუამდგომლობანი დიდისა სულტანისანი“, მაგრამ ბაგრატ მეფემ სამი თვის ბრძოლის შემდეგ კვლავ აიღო იგი და ამირა ფადლონი სამაგალითოდ დასაჯა.<sup>1</sup>

„დიდი თურქობისას“ აგარათა ციხე ისევ მტრის ხელში გადავიდა და მხოლოდ 1118 წელს აიღო დავით აღმაშენებელმა ერთი დღის ბრძოლით.<sup>2</sup>

1123 წელს დავით აღმაშენებელმა ეს ციხე ივანე ორბელს უწყალობა.<sup>3</sup>

1177 წელს აგარათა ციხე დემნა ბატონიშვილისა და ივანე ორბელის შეთქმულების ბუდე იყო. ამავე წელს გიორგი მეფემ ეს ციხე 25-იანი ალყის შემდეგ აიღო. ამიერიდან აგარათა ციხე გიორგი მეფისა და თამარ მეფის ხელთ იყო.<sup>4</sup>

<sup>1</sup> 6. ბერძენიშვილი. ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან. უურნ. „მიმომხილველი“. 1951. №2. გვ. 54. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 1965. გვ. 156-157. ქართლის ცხოვრება. ე. თაყაიშვილის რედ. ტფ. 1906. გვ. 275.

<sup>2</sup> 6. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 56.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

თამარ მეფემ აგარათა ციხეში მიიღო და 10 დღე ანებივრა შირვან შაპი და მისი სიძე ამირ— მირმანი შამქორის ბრძოლის წინ.

თამარს თავისმა ყმადნაფიცმა შირვანშაპმა და მისმა სიძემ ამირ-მირმანმა დახმარება სთხოვეს ადარბადაგანის მმართველის აბუ-ბაქრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამის შემდეგ შირვანშაპი და ამირ-მირმანი თბილისში ჩამოვიდნენ. თბილისიდან ისინი მიწვეულები იყვნენ „ჭალასა აგარათასა“. (ჭალასა აგარათაში უნდა ვიგულისხმოთ აგარათა ციხე) „მაშინ მოვიდეს ამირ-მირმანი ფაქლავანდის შვილი და ალსართან შარვანშა ყოვლისა არანისა დიდებულითა და ჰულამითა“. ქართველები საგანგებოდ მოემზადნენ. „დადგეს ჭელმნიფენი სუესრულნი და ღმრთივ ამობრნინვალებულნი ჭალასა აგარათასა და პატივისმცემელთა ნებისყოფლობისა მათისათა აწუივნეს და მოიწუივნეს დიდითა ზარითა და პატივითა დედოფალი რუსუდან აქა“. ქართველებმა შირვანშაპსა და ამირ-მირმანს გრანდიოზული დახვედრა მოუწყეს აგარათა ციხეში. „რომელმან სახელმან, ვისმცა გონებამან და ენამან აღმოთქუვნა ქებანი ზართა და დიდებისანი, კარავთა სარაფადათა, კოშკთა და ფილოფატთანი და შემკობილებანი ბესელისებრნი გინა სოლომონიანნი ტაძრისა ღმრთისანი“.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> 6. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი გვ: 47–51. ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი. ტ. II. თბ. 1983. გვ. 267. ივ. შაიშმელაშვილი. შამქორი, ბასიანი. თბ. 1981. გვ. 24–25.

ბასილი ეზოსმოძღვარი იხსენიებს აგარათა ციხეს, სადაც დასწეულებული თამარ მეფე ნახევარი წლით თავისი სამეფო ამალით დასახლებულა.<sup>1</sup>

თამარ მეფე დიდებულთა და წარჩინებულთა თანხლებით, თურმე, ნაჭარმაგევსა მდგარა, როდესაც „გამოაჩნდა სენი გამაოჭრებელი ჩუენი, რომელი დღი-თი-დღე დამძიმდებოდა“. რომ არავინ შეეწუხებინა, თამარი ითმენდა, სანამ სენმა არ სძლია. რა ავადმყოფობა იყო ეს სენი, აღნიშნული არ არის. მემატიანე ამბობს მხოლოდ, რომ „დედობრივმან უძლურებამან განგრძობილთა შინა მჯედრობათა არა თავს-იდვა შეუმთხვევლად მიშვება აგებულებისა“-ო. ავადმყოფი თამარ მეფე ნაჭარმაგევიდან „წამოიყვანეს კუბოთა ტფილისს“, (კუბო „ესე არს ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი, აქლემთა ასაკიდებელი, გინა ხელით სატარებელი“ – სულხან-საბა ორბელიანი). მაგრამ „შემდგომად მცირეთა დღეთა ენებათ და ისწრაფდეს ჩვეულებისამებრ, რათა დასოს (ბალნარს) განვიდნენ“. არც ამან შეუმსუბუქა ავადმყოფობა, პირიქით, „დიდად გაძნელდა სენი იგი უწყალო“ და „იქითგან წამოიყვანეს აგარათა ციხესა“ რაკი ყოველი „გამომეძიებლობა მკურნალთა ბელოვნებისა“ ამაო აღმოჩნდა, მთელ საქართველოში იყო „ლიტანიობანი და ლამის თევანი მიმდებნი და ცრემლთა დინებანი იხილვებოდეს, მდიდართა და გლახაკთანი, სწორებით.“ მხურვალე გუ-

<sup>1</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხორება მეფეთ– მეფისა თამარისი. თბ. 1944. გვ. 32-33.

ლით შესთხოვდნენ ყველანი ღვთაებას, დაავადებული მეფისთვის განკურნება მიენიჭებინა, „გარნა განჩინებანი წინა-ალუდგომელი იყო“ და მწოდებელი კართა ზედა დგა“. დიდებული თამარ მეფე გარდაიცვალა. რაც თავის მხრივ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დიდებული ქართველი მეფე თამარი სწორედ აგარათა ციხეში აღესრულა.<sup>1</sup>

კოჯორი ძველთაგანვე ითვლებოდა ქართველ მეფეთა სავანედ.

კოჯორის ციხე XV ს.-დან სომხით-საბარათიანოს დიდი ფეოდალის სოლალაშვილების საგვარეულო ციტადელს წარმოადგენდა.

კოჯორის ციხე დიდად დააზიანა 1488 წელს იაყუბ ყაენის მიერ გამოგზავნილმა ლაშქარმა ხალილ-ბეგის მეთაურობით. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, კოჯორის ციხის მისადგომებთან მომდგარმა თურქმანთა მრავალრიცხოვანი ჯარის მეთოვეებმა გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინეს ქართველ მეციხოვნეებს. სოლალაშვილების მცირერიცხოვანი მეციხოვნეები, რომელთაც მაშველი ძალა არ ჰყავდათ, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ იძულებული შეიქნენ მტრისთვის შეეტოვებინათ ეს ციხე-სიმაგრე, „ხოლო ვითარცა გათენ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 289-290. ზ. ჭიჭინაძე. ქართლის ცხოვრება. დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდე. წიგნი II. თ. I. ტფ. 1898. გვ. 486-489. ქართლის ცხოვრება. ე. თაყაიშვილის რედ. ტფ. 1906. გვ. 530-533.

და, ნახეს თათართა, ციხე უკაცური, შევიდეს შიგან  
და კაცი არა იპოვეს, მიჰყვეს ხელი და დააქციეს“.<sup>1</sup>

ი.ა. გიულდენშტედმა 1771– 1772 წ.წ. საქართვე-  
ლოში მოგზაურობის დროს თავის დღიურებში ჩანს: „მეფეები წინათ, ზაფხულობით, იდგნენ მთაზე კო-  
ჯორთან, რადგან იქ სიცხეები ნაკლებია... რეზიდენ-  
ციას სხვა მიზეზების გამო არ სტოვებდნენ.“<sup>2</sup>

კოჯორის ციხის შესახებ მრავალი საინტერესო  
გადმოცემაა შემონახული. ერთ-ერთი გადმოცემით  
კოჯორის ციხეში იყო შეხიზნული ლეგენდარული გმირი  
ქოროლლი – ამიტომაა, რომ ამ ციხეს ზოგჯერ ქოროლ-  
ლის ციხის სახელწოდებითაც იხსენიებენ. ეს სახელწო-  
დება XVIII ს.-დან დამკვიდრდა. XVIII საუკუნის ცნობილი  
გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი კოჯორის ციხეს აზეუ-  
ლას უწოდებს.<sup>3</sup>

ზეპირი გადმოცემის მიხედვით, კოჯორის ციხეს  
თავს აფარებდა გმირი ქალი თინა წავკისელი.<sup>4</sup>

1625 წელს სოფელ მარაბდასთან ბრძოლაში ქარ-  
თველები დამარცხდნენ, მაგრამ მეორე დღეს ომი კოჯ-  
რის მიდამოებში გაგრძელდა. კოჯორის ციხის მისადგო-  
მებთან გამართულ შეუპოვარ ბრძოლაში ქართველებმა  
დიდი ზიანი მიაყენეს ყიზილბაშებს.

1795 წლის სექტემბერში, საქართველოში ალა-მაჟ-  
მად-ხანის შემოსევის დროს, ქართველებმა მედგარი წი-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. III. თბ. 1982. გვ. 369-370.

<sup>2</sup> გიულდენშტედი. მოგზაურობა საქართველოში. 1966. გვ. 6.

<sup>3</sup> დ. გოზალიშვილი. კოჯორი. თბილისი. 1966. გვ. 6.

<sup>4</sup> მ. ჯანგიძე. დასახ. ნაშრომი.

ნააღმდეგობა გაუწიეს სპარსელ დამპყრობლებს კოჯ-რის ციხის მისადგომებთან.

XIII-XVII საუკუნეებს შორის კოჯორში ზაფხულობით მეფეთა დგომის ტრადიცია დიდი ხნით შეწყვეტილა და მხოლოდ XVII საუკუნეში როსტომ მეფეს განუახლებია. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ კაბენის მონასტრის სამხრეთით არის ციხე. „კოჯრის თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამხრეთით არს სასახლე მეფისა. კოჯორი აღაშენა პთ მეფემან როსტომ უმეტესა ჟა მეფემან გიორგიმ და ჟდ მეფემან ვახტანგ. დგებოდნენ ზაფხულს მეფენი“. აქვე ჰქონდათ მშვენიერი მარნები, სადაც ღვინოებს ეზიდებოდნენ ქვემო ქართლის სოფლებიდან. კოჯორში იყო, აგრეთვე ქართველ მეფეთა მთავარი საჯინიბოები. ამავე საუკუნეში კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორს აუშენებია სასახლე და კარის საყდარი.<sup>1</sup>

კოჯრის სამხრეთ-დასავლეთით, პატარა მდინარის – ასურეთის წყლის ხეობაში მდებარეობს ქაბენის მონასტერი, რომლის ერთ-ერთი ტაძარი თამარ მეფის ეპოქის დროინდელია. ეს ტაძარი (ნანგრევები) წარმოადგენს ძველი ქართული არქიტექტურის საუცხოო ძეგლს. მეორე, ძველი ტაძარი მონასტრის გალავნის გარეთ შენარჩუნებულია ჩვენ დრომდე. ამ ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე დარჩენილია ქართული წარწერა,

---

<sup>1</sup> მ. ჯანგიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 2.

რომლის მიხედვით მისი მშენებლობა მიეკუთვნება თა-  
მარ მეფის ეპოქას.<sup>1</sup>

აქვე არის XV ს.-ის ორმოც მოწამეთა ეკლესია. რო-  
გორც ჩანს, იგი ამ მიდამოებში მრავლად გაფანტულ ეკ-  
ლესია-მონასტერთაგან ერთ-ერთი იყო, რომელიც XV-XVI  
ს.ს. აშენდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ეს მხარე საქარ-  
თველოს მეფე ალექსანდრე I-მა სამეფო მოლარეს ბარა-  
თა ქაჩიბაისძეს უბოძა. XVIII საუკუნისათვის ეკლესია  
თითქმის დანგეული და დაცარიელებულია. 1759 წელს  
ბარათაშვილების განაყოფი გვარის, ორბელიან-ყაფლა-  
ნიშვილების ბრძანებით, მონასტერი აღუდგენიათ.

კოჯორიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ცენტრიდან  
ერთნახევარ

კილომეტრზე, ხშირ, ფოთლოვან ტყებში გადის სა-  
ურმე გზა, გზის მარცხენა მხარეს მოჩუხჩუხებს ცივი  
წყარო, რომელიც ზაფხულის ცხელ დღეებში საგ-  
რძნობლად კლებულობს. უძოს მთა ზღვის დონიდან  
1.419 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.<sup>2</sup>

„კერ ისევ შორს ვხედავ უძოს,  
ზმანებით რომ გულს ახურებს,  
ავალ ვიტყვი თვალი ჩემი  
საქართველოს გადაჰყურებს“.

გალაკტიონ ტაბიძე

უძოს ქედზე მდებარეობს წმ. გიორგის სახელობის  
ეკლესია, რომელზეც ვახუშტი ბაგრატიონი წერდა –

<sup>1</sup> მ. ნოდია. დასახ. ნაშრომი. გვ. 41.

<sup>2</sup> დ. გოზალიშვილი. კოჯორი. თბ. 1966. გვ. 12.

„უძო, ეკლესია წმინდა გიორგისა, მაღალსა გორასა ზედა, მჭვრეტელი კოჟრისა და ტფილისისა“.

უძოს მწვერვალიდან მეტად ლამაზი სანახაობა იშლება. აქედან მოჩანს მწვანეში ჩამჯდარი ვერეს ხეობა, წყნეთი, ბეთანია, ზედაზენი, შორს კი კავკასიონის თეთრად მოელვარე მწვერვალები – მყინვარწვერი და მისი „ძმები“.

სწორედ ამ ეკლესიის გამო დაერქვა ამ მთას უძო.

არსებობს ლეგენდა, გავრცელებული კოჟრის მოსახლეობაში, რომ ეს ეკლესია უშვილო (უძეო) კაცს აუშენებია და შეხვეწებია, შვილი მომეციო. მისი თხოვნა შესრულებულა და მას შემდეგ აქ სალოცავად მოდიოდნენ (უძეო) უშვილო მანდილოსნები, ევედრებოდნენ წმინდა გიორგის და იქვე, ერთ ხეზე სტოვებდნენ შესანირავს (ამ ხეს დღესაც ნატვრის ხეს ეძახიან). სიტყვა უძეოდან მთას და ეკლესიასაც უძო ეწოდა. უძოს სილამაძე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

უძოს წმინდა გიორგის სახელობის დღე მოძრავი ქრისტიანული დღესასწაულია. დღეობა ყოველ წელს, აღდგომის მომდევნო სამშაბათ დღეს იმართება. დღესასწაულს ხალხში უძოობას უწოდებენ. უძოობა მხოლოდ ადგილობრივი, ლოკალური მნიშვნელობის დღე არ გახლავთ. ამ დღეს უძოს ეკლესიაში კოჟრის მცხოვრებთა გარდა ბევრი მახლობელი თუ მოშორებით მდებარე სოფლების მოსახლეობა იკრიბება. ბევრი ადამიანი ამოდის თბილისიდან. დღესასწაულზე მრავლად შეხვდებით უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებსაც.



ნეარო უძოსკენ მიმავალ გზაზე



უძოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.

ხალხმრავლობას უძოობის დღესასწაულზე დიდი ხნის ისტორია აქვს. ხალხში შემონახული გადმოცემის თანახმად, გასულ საუკუნეებში ამ დღესასწაულზე სხვადასხვა ადგილებიდან ბევრი ადამიანი მოსალოცად კოჯრისაკენ ურმებით მიემართებოდა.

კოჯრის სამხრეთით მდებარეობს გუდელისის ეკლესია. მისგან შემორჩენილია საყდრის სამი კედელი, სადაც არის საგვარეულო საძვალე. საფლავის ქვაზე გარკვევით იკითხება: „ორბელიანი“. საყდრის გარშემო განლაგებულია საფლავის ქვები. დაახლოებით 300 მ-ში არის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

თბილისის შემოგარენში პირველად XIX საუკუნის 60-იან წლებში, კოჯორში, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რომელიც მაშინ მხოლოდ ზაფხულში (სააგარაკო სეზონის დროს) მუშაობდა.

1904 წლის 21 ოქტომბერს კოჯორში გაიხსნა სამრევლო დაწყებითი სკოლა კორნილე ელიზბარაშვილის ხელმძღვანელობით. სკოლაში მიღებულ იქნა 40 ბავშვი: ქართველები, სომხები, მაჰმადიანები. მასწავლებლად მოწვეულ იქნა საეპარქიო დედათა სასწავლებლის კურსდამთავრებული ქალბატონი მარიამ ჭუხრუკიძის ასული. სკოლა თვალსაჩინო ადგილას, ეკლესიის გვერდით იყო. შიგნითვე იყო მასწავლებლის ოთახი.

1921 წლის თებერვალში რუსეთის XI წითელი არმია შემოვიდა კოჯრის მიდამოებში. კოჯრის ციხის ფერდობზე 1989 წლის 9

აპრილამდე იდგა მემორიალი წარწერით: „**აქ შემოვიდა რუსეთის XI არმია**“. ეს მემორიალი გადააგდეს 1989 წლის 10 აპრილს, 9 აპრილის ტრაგედიით გამნარებულმა კოჯრის ახალგაზრდებმა. აქ გაიმართა ბრძოლები ქართველ იუნკრებსა და რუსეთის XI არმიას შორის. ახალგაზრდა, 20-21 წლის იუნკრებთან ერთად იბრძოდნენ პოლკოვნიკი ა. ჩხეიძე, მასწავლებელი ვ. ბარნოვი, ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი, დამფუძნებელი კრების წევრი რ. გაბაშვილი, ლეიტენანტი თოიძე და სხვ. თებერვლის ოკუპაციასთან დაკავშირებით, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ მარო მაყაშვილი, რომელიც კოჯრის ბრძოლების დროს დაიღუპა. 19 წლის მარო მაშინ ომში მოხალისედ, მოწყალების დად, წავიდა და საქართველოს თავისუფლებას შესწირა თავი. დაღუპული თოიძის, მაყაშვილის და იუნკრების გვამები თბილისში ჩაასვენეს და დიდი საკრებულო ტაძრის გალავანთან დაკრძალეს, მაგრამ ბევრი იუნკერი იქვე დაუმარხავთ და არა მარტო დახოცილები, დაჭრილი იუნკრებისთვისაც მიუყრიათ მიწა მტრებს. ეს ამბავი შესანიშნავ ქართველ პოეტს ტერენტი გრანელს სმენია და ლექსიც დაუწერია.

„დახოცილებთან ერთად, თურმე ნუ იტყვით, დაჭრილი იუნკრებიც დაუმარხავთ“.

1921

„ახლა ეს ფიქრი სხვა სამარეა.  
მოვიდა ქარი, ხე შეარხია,  
და საქართველო ეს ის მხარეა,  
სადაც ცოცხალი ხალხი მარხია.  
ციხეში ვზივარ, გარეთ მთვარეა,  
შორს გაუსხლავი, ლურჯია ბალი,  
და საქართველო ეს ის მხარეა,  
სადაც რომ ცოცხლად მარხია ხალხი“.  
ტერენტი გრანელი

დღეს ამ ადგილას იუნკერთა ხსოვნის პატივსაცემად მემორიალია აღმართული.

არსებობს გეგმა, რომლის მიხედვითაც თბილისიკოჯრის მიმართულებით უნდა ყოფილიყო სარკინიგზო გზა. იგი წარმოადგენდა „დიდი ტფილისის“ საკურორტო, კულტურულ-ადმინისტრაციულ და საწარმოო ქალაქის გეგმის ერთ ნაწილს. მაგრამ ეს გეგმა არ განხორციელდა, თუ რატომ, ეს არ არის ცნობილი.<sup>1</sup>

კოჯორში, სკოლა-ინტერნატის ეზოში, მიწის სამუშაოების დროს, აღმოჩნდა ღრმად დაფლული განძი. იგი შედგებოდა სპილენძის ოთხი თეფშისგან და ერთი თასისაგან. 1963 წელს განძი გადაეცა საქართველოს

<sup>1</sup> ლ. ჩიჯავაძე. კოჯორის ელექტრო-რკინის გზა. „კერგზა“. თბ. 1931. 35 გვ.

სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური ხანის განყოფილებას. ქიმიური განმენდის შემდეგ ყველა ჭურჭელზე აღმოჩნდა მხედრული წარწერები.

თეფშები, შეიძლება ითქვას, ზუსტად ერთმანეთის გამეორებას წარმოადგენს, მხოლოდ ზომებით და წარწერის შინაარსით განსხვავდებიან. თეფშები მოკალული ყოფილა. კალა ზოგ ადგილას შერჩენილი აქვს. ორ თეფშს, რომლებიც ზომით ტოლები არიან, გარე ნაპირზე დაყვება სამი სიტყვისაგან შემდგარი მხედრული წარწერა. ერთ თეფშზე წერია „ვტნგ“, მეორეზე კი „ვახტანგ“, დაკლებული ასოების აღდგენით წარწერა იკითხება ასე: „ქ. მეფე ვახტანგ“.

ეს თეფშები ვახტანგ VI საჭურჭლეს ეკუთვნოდა.

განძის კოჯორში აღმოჩენა შემთხვევითი არ უნდა იყოს. კოჯორი ხომ ძველთაგანვე ქართველ დიდებულთა დასასვენებელი იყო.

1721-22 წლებში ვახტანგ VI მოართვეს ყაენისაგან გამოგზავნილი საპატიო ნიშნები და სამხრეთ აზერბაიჯანის სპასპეტობა უბოძეს.

როგორც ჩანს, XVII-XVIII საუკუნეების I მეოთხედში კოჯორის სასახლეში ცხოვრება მიმდინარეობდა. სასახლის კარზე არსებობდა საჭურჭლე, რომელსაც ჰყავდა მეჭურჭლეთუხუცესი და მეჯამეთუხუცესი.<sup>1</sup>

„ტფილისის უნიკა“ გახლავთ პირველი საფოსტო საქალაქო (და არა სახელმწიფო) მარკა, რომელიც კავ-

<sup>1</sup> გ. კიკნაძე. კოჯორის განძი. უურნ. „ძეგლის მეგობარი“. 1968. №15. გვ.55-58

კასიის ტერიტორიაზე გამოიცა. მარკა კავკასიის მეგის-ნაცვალმა, თავადმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ (1815-1879) გამოსცა. მარკის ზომაა 22x22 მმ. მის ზემო ნანილში გამოსახულია იმპერიის სიმბოლო ორთავიანი არწივი, არარატის მთა ნოეს კიდობნით, მდინარე მტკვარი, წმინდა გიორგი და მერკურის კვერთხი. ნახატი რელიეფურია. მარკა მხოლოდ თბილისა და კოჯორში ვრცელდებოდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ის არ მოიპოვება.

„ტფილისის უნიკით“ თავის დროზე ცნობილი რუსი იუველირი კარლ ფაბერშეც დაინტერესდა. მის კოლექციაში სამი ეგზემპლარი ინახებოდა.

დღესდღეობით ტფილისის უნიკა ფილატელისტური იშვიათობა გახლავთ.

აკადემიკოსი გ. მუხაძე, რომელიც კარგად იცნობდა კოჯორს და ათეული წლების მანძილზე ისვენებდა ამ კურორტზე, აღნიშნავდა, რომ კოჯორში არსებობს ფრიად ხელშემწყობი პირობები ბავშვთა მკურნალობისათვის. განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავთა დაავადების დროს.

6. ყიფშიძის დაკვირვებით გამოირკვა, რომ კოჯორში მკურნალობის შედეგად ბავშვთა სისხლში ჰემოგლობინი მკვეთრად მატულობს 10%-დან 25%-მდე. მაღალი ტემპერატურა იკლებს და სწრაფად იღებს კეთილ მიმდინარეობას. ამიტომაც იყო, რომ კოჯორში ბევრი სამკურნალო დაწესებულება და სანატორიუმი

არსებობდა. სამწუხაროდ, დღეს აღარც ერთი არ ფუნქციონირებს.

ძვირფასო მკითხველო, აი ეს არის პატარა კოჯრის დიდი ისტორია. ისტორია – რომელიც მატიანემ შემოგვინახა.



ტფილისის უნიკა

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხორება მეფეთ— მეფი-სა თამარისი. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. თბ. 1944 წ.
2. გიულდენშტედი. მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. 1966 წ.
3. დ. გოზალიშვილი. კოჯორი. თბ. 1966 წ.
4. გ. კიკნაძე. კოჯრის განძი. ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“. 1968 წ. №15.
5. ზ. ჭიჭინაძე. ქართლის ცხოვრება. დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნეები. წიგნი II. ტ. I. ტფ. 1898 წ.
6. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. III. თბ. 1982 წ.
7. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 1931 წ.
8. ლ. ჩიჯავაძე. კოჯრის ელექტრო-რკინის გზა. „კერგზა“. თბ. 1931 წ.
9. მ. ჯანგიძე. კოჯორი. გაზ. „თბილისი“ . 1960 წ. 16 აგვისტო.
10. მ. ჯანგიძე. კოჯორი. გაზ. „სამგორი“. თბ. 1960 წ. 18 აგვისტო.
11. მ. ნოდია. საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები. თბ. 1976 წ.

12. ნ. ბერძენიშვილი. ძველი თბილისის ტოპონიმიკი-დან. ჟურნ. „მიმომხილველი“. 1951. №2.
13. ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლისეული ნუსხა. ე. თაყაიშვილის რედაქციით. თბ. 1906 წ.



## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, გ. კავკავაძის გამზ. 19, ტელ: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge